ეროვნული ბიბლიოთეკა


# ცნობის ფურცელი

VI წ. | ყოველ-დღიური გამოცემა | 1901 | ოთხშაბათი, 2 მაისი | № 1453

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 და 21 მაისს. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

## ტფილისის კერძო
## სამკურნალო
### მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვების მკურნალობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა მუღინი—ყურის, ყელის და ცხვირის—11—12 საათამდე.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. მატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და შარდესი—$1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

გ. მადლაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

პარიზის გამოფენაზე ბეჭდვითი საქმის პავილიონის მომწყობი კომისსია იწვევს მათ, რომელთაც ჰსურთ გამოჰფინონ ნაწარმოები ხსენებულს პავილიონში, 20 მაისამდე გამოაცხადონ თავისი სურვილი და ამასთანავე აღნიშნონ რამდენი ოთხ-კუთხი არშინი დასჭირდებათ ექსპონატებისათვის. ფასი ოთხ-კუთხი არშინისა 5 მ.—თუმნამდე (ცენტრალურს დარბაზში). განცხადებასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იქმნეს ბე 3 მანათი ყოველ ოთხ-კუთხ არშინში. ექსპონენტებად შეუძლიათ იყვნენ კავკასიის ა) პერიოდული გამოცემანი, ბ) წიგნების მაღაზიები და გამომცემლები, გ) სტამბები, ლიტოგრაფები, ფოტოგრაფები და სხვა ამგვარ დაწესებულებანი, რომელთაც კავშირი აქვთ ბეჭდვით საქმესთან.

განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ტფილისში კომისიის მდივნის ი. მ. დოლუხანოვის სახელზე (განოვის ქ., № 17). პირისპირ მოლაპარაკება მდივანთან შეიძლება ყოველ-დღე, საღამოს 5 საათიდან 6-მდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. ტელეფონის № 678. ბეჭდვითი საქმის პავილიონში იქნება უფასო სამკითხველო და პრესის წარმომადგენელთათვის სამუშაო ოთახი. (3—უ.—1)


## ქუთათური საქმეები.

ქუთაისიდან სასიამოვნო ამბები მოვიდა: თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაც და ქალაქის თავის არჩევნებიც კარგად დასრულდა. თავად-აზნაურებში წარსულ წლის ნოემბრის კრების შემდეგ განხეთქილება ჩამოვარდა და ბევრი შიშობდა, რომ ეს განხეთქილება ცუდ შედეგს მოიტანსო; მაგრამ ნამდვილად საქმემ სხვა მიმართულება მიიღო: ეგრედ წოდებულმა ოპპოზიციამ აირჩია ის პირნი, რომელნიც ჰსურდა, ხოლო მოწინაალმდეგეთა მოთავენი შეურიგდნენ მას და უარი განაცხადეს კანდიდატობაზე. თავად-აზნაურთა კრების ასეთი დასრულება მოსალოდნელი იყო; უფრო საეჭვო იყო მეორე საქმე—ქუთაისის ქალაქის თავის არჩევნები.

ეს საქმე მეტად გაგრძელდა და გაჭირდა. ბ. ლოლუას სამსახურიდან გადაყენებას მოუმზადებლად დახვდა ოპპოზიცია და ვერ მოახერხა შესაფერ კანდიდატის მოძებნა. შესაძლებელი იყო, რომ ამ მოუმზადებლობით ესარგებლათ მოწინაალმდეგეთ და კვლავ ჩაეგდოთ ხელში ქალაქის ბედ-ბედი. საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა: ოპპოზიციამ მოასწრო და გაიყვანა თავისი ერთი უკეთესი წარმომადგენელთაგანი ცნობილი საზოგადო მოღვაწე დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე.

«Noblesse oblige», ამბობენ ფრანგები, გამარჯვება კი უფრო ავალებს ქუთათურ ოპპოზიციას. უკანასკნელ წლებში იქაურ თვით-მმართველობის საქმეები მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნენ. ქალაქი ძალიან დავალიანდა, მაგრამ ამავე დროს ყოველისფერში უკან ჩამორჩა. ვალი საშიშარი არ არის, როდესაც ქალაქი აღებულ ფულს სასარგებლო საქმე-დაწესებულებათათვის მოიხმარს, ხოლო როდესაც ვალით აღებული ფული უნაყოფოდ მოიხმარება, ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა ირყევა. ქუთაისის თვით-მმართველობას უკანასკნელ ხანებში ვერც გარეგან კეთილ მოწყობილებისათვის, ვერც სულიერ მოთხოვნილებისათვის თვალსაჩინო რამ ვერ შეუქმნია. ეს კიდევ თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს: უბედურება ის არის, რომ საქალაქო საქმეებში კანონიერი წესიერებაც დარღვეულია. კანონის შებღალვას სასამართლო გაარჩევს, მაგრამ, აწეწილ საქმეების მოწესრიგებას საბჭო და ახალი გამგეობა უნდა შეუდგნენ. შემდეგ ახალ-გამგეობის მოვალეობად შეიქნება გააძლიეროს ქალაქის საშუალებანი და თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინოს მცხოვრებთ მათ ნივთიერ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში.

აგერ ათ წელიწადზე მეტია, ქუთაისის ეგრედ წოდებული ოპპოზიცია ებრძვის ჩიქვაიძე-ლოლუას პარტიას. ჩვენი პრესსა, უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, ოპპოზიციას მხნე დახმარებას უწევდა. ის დარწმუნებული იყო, რომ ქუთაისის საზოგადო საქმეები ნორმალურ მსვლელობას მიიღებდენ,

## ფელეტონი

### ბავშვი

ოკტავ მირბოსი

(ფრანგულით)

. . . . . . . . . . . . .

გლეხმა ამიტომაც შემდეგი ჩვენება მისცა სამართლოს თავმჯდომარეს:

„ბატონო თავმჯდომარევ! ხომ მოისმინეთ, რაც მოგახსენეს ყველამ, ჩემმა კეთილმა მეზობლებმა და თვალის სინათლე ძმობრებმა... არცერთმა არ დამზოგა, არ შემიბრალა; მართალია... სანამ სოფელ ბულებლანში ვიყავი და სანამ ჩემის თოფის ტუჩსა და მათს შორის ჟანდარმები არ იდგნენ, გაგიხარიანთ, მე იმათ შიშის ზარსა ვსცემდი!.. დიაღაც რომ არ ვუყვარდით, მაგრამ თავიანთს სიძულვილს ჰმალავდნენ, არაფერს მიბედავდნენ. ამიტომ რომ იცოდნენ თვალებს არავის დავუკოცნიდი... დღეს კი დაბალ ლობედ დამინახეს და ყველა ჩემზე ჰლამის გადასვლას... ამათ რომ ვუცქერი, მხრებს ვიჩეჩავ და უნებურად მეცინება, მე და ჩემმა ღმერთმა!.. ან როგორ არ გავიცინო, როცა მაპო, ბრუციანი მაპო, გამოსულა და კადნიერად გაიძახის, რომ მე ქურდი და კაცი-კალია ვარ! კარგი, ვთქვათ, ქურდიცა ვარ და კაცი-კალიაც, მაგრამ ეს ის მაპო არა ბრძანდება, შარშან გრავოას ტყეში დარაჯი ბლანდე რომ მოკლა!.. არ იყარო, შე წუნკალო, იმ დროს მეც შენთან ვიყავი... ლეჟერმა, კუზიანმა ლეჟერმა, ქვეყნის ცოდვა მე რომ მომკიდა ზურგზე, ამ ექვსი თვის წინად პონტილონის ეკკლესია გაძარცვა... კაი კაცია და გაბედოს და სთქვას—არ მიქნიაო... ერთად ვიყავით ორივე... ლეჟერ, ვსტყუი?.. ბატონო თავმჯდომარევ, თქვენ დღესაც არ იცით, ვინ მოუგრიხა კისერი გლეხს ჟაკინოს, როცა ბაზრიდან შინ ბრუნდებოდა?.. ამ საქმის გამო, ვინ იცის, რამდენი ალალმართალი დაიჭირეთ... გამოძიებას ხომ დასასრული არა ჰქონდა... მგონი, დღესაც არ გაგითავებიათ... მისი მკვლელი ვაჟბატონი კი—სორელია, ის სორელი, ამ ერთის წუთის წინად ჩემის თავის მოკვეთას რომ გთხოვდათ... ჰა, რას გაჩუმდი, მეგობარო და ტკბილო ამხანაგო, ხმა ამოიღე, სთქვი, ტყუილს ვამბობ? მაგრამ, გარწმუნებთ, ბატონო თავმჯდომარევ, თავის მართლება არ შეუძლია, გულითაც რომ უნდოდეს; სანამ ის მოხუცებულს კაცს ახრჩობდა, მე ჯიბეებს ვუჩხრეკავდი... მაშ! გიკვირთ განა, რასაც მოგახსენებთ? ახლა ერთი იმათაც შეხედეთ! სად გაჰქრა თქვენი ქედმაღლური კილო, სად გაჰქრა თქვენი სიამაყე და რიხიანობა, ჩემო კარგებო?.. კუდი მოგეწვათ, განა? ფერი მიგდით, თრთით და ვინ იცის თქვენს გულში გაიძახით: ე რა მივქარეთ! გვეგონა მარტო მოტოს ვუთხრიდით სამარეს, ის კი არა იმავე სამარეში ჩვენც ჩავცვივდით და ერთმა და იმავე თავსაკვეთელმა ყველას უნდა მოგვჭრას თავიო...

„ბატონო თავმჯდომარევ, რაც მოგახსენეთ, სრული ჭეშმარიტებაა... მენდეთ! ბულებლანში ყველა ასეთები ვართ. ახლა ისიც მოგახსენოთ, თუ რა გვაიძულებს ავკაცობა ჩავიდინოთ ხოლმე! სოფლის გარშემო რვა ვერსის მანძილზე ერთის მხრით ეკლისა და ყარამფილის ბუჩქების მეტი არაფერია, სახნავი ერთი მტკაველი მიწა აღარსადაა; მეორეს მხრით ქვიშა და ქვებია. აქა-იქ შეგხვდებათ აგრეთვე წვრილი არყის ხე ან და ფიჭვი, რომელიც თავს ზევით ველარა სწევს და მიწას ველარა სცილდება. ჩვენს ბოსტნებში კომბოსტო რა არის, კომბოსტოც კი არ ხარობს. ერთის სიტყვით, დაწყევლილი მხარეა... ერთი მიბრძანეთ, ასეთს ადგილას როგორ უნდა ვიცხოვროთ?.. იქნება გვიბრძანოთ, საქველ-მოქმედო საზოგადოებას მიჰმართეთო?... თვალთმაქცობა თუ გნებავთ, აბა სწორედ ეს საზოგადოება გახლავთ! ან სულ არაფერს იძლევიან, ან და თუ ვისმეს გაუმართეს ხელი, ისევ მდიდრებსა და შეძლებულთ... რაკი სოფელს ტყე ზედვე აკრავს, კაცი ყაჩაღობას იწყობს... ხანდისხან იშოვის კიდეც რამეს, მაგრამ უფრო ხშირად კი ხელ ცარიელი რჩება ხოლმე... მოხდება, რომ დარაჯებს ხელში ჩაუვარდები, სასამართლოში გათრევენ, ხარჯს გახდევინებენ, სატუსაღოშიაც კი ამოგაყოფინებენ ხოლმე თავსა... მაგრამ ამათ ანგარიშში არ ვაგდებ... ღმერთო ჩემო! სატუსაღოს ვინ სჩივის!.. გაჭმევენ, გასმევენ და გამოსვლის დროისთვის ცოტა ფულსაც კი მოუყრი ხოლმე თავსა... ღვთის გულისთვის ერთი მიბრძანეთ, ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენს ალაგას თქვენ რას იზამდით? იქნება გვირჩიოთ—სოფელ გარედ გავიდეთ მემამულეებთან სამუშაოდ... მაგრამ რომ არსად გვღებულობენ? როგორც კი ვეტყვით, ბალებლანშიდანა ვართო, თითქო ჯოჯოხეთიდან მოვედინებოდეთ... ფიწლებით გამოგვეკიდებიან ხოლმე... მეტი რა გზა გვაქვს, უნდა ვიქურდოთ, იმიტომ რომ ცხოვრება გვინდა!.. და როცა ქურდობას გადავწყვეტავთ, კაცის კვლაც უნდა გადავწყვიტოთ ხოლმე. ერთი უმეოროდ არ იქნება... რაც მართალია, მართალია. ყოველსავე ამას იმიტომ მოგახსენებ, რომ გაიგოთ რა არის ჩვენი სოფელი. მთავრობას თავის დღეში ჩვენთვის თავი არ შეუტკივებია, თითქო ჩვენ კი ცხოვრება არ გვინდოდეს. ის კი არა, გვდევნის კიდეცა, როგორც ცოფიანსა და ჭირიან ძაღლებს.

„ახლა კი საქმეს შევუდგები.

„სრული ერთი წელიწადია, რაც ცოლი შევირთე. პირველ თვესვე დაორსულდა. დავფიქრდი. ჩემი ოხერი თავი გამჭირებია და ახლა ბავშვი კიდევ რა შავი ქვით ვარჩინო-მეთქი.

— „უნდა მუცელი გაიფუჭო-მეთქი“,— ვუთხარი ცოლს. სწორედ ჩვენს მახლობლად ერთი ღვთის პირისაგან შეჩვენებული დედაბერი სცხოვრობს. ეს სისაძაგლე ხელობად გაუხდა... ერთი კურდღელი და ორი ბაჭია საჩუქრად მივეცი და იმანაც

როდესაც მრავალ გვარ ხრიკებით გამაგრებულ პოზიციიდან განდევნილ იქმნება ლოლუა-ჩიკვაიძის დასი. აი დღეს ამ საგნის ნახევარი მიღებულია; ქალაქის თვითმმართველობის მართვა-გამგეობა ჩამოერთვა მას; ჩვენ, ვულოცავთ-რა ოპოზიციას გამარჯვებას და ვუსურვებთ რა საგნის მეორე ნახევარშიაც ჩქარს გამარჯვებას, ამასთანავე საჭიროდ ვთვლით გავახსენოთ, რომ თანაგრძნობის შერჩენისათვის ოპოზიციას (თუ შეიძლება დღესაც ეს სახელი ვუწოდოთ ამ პარტიას) ჰმართებს მხნე მოქმედება, უფრო მხნე შემოქმედებით მუშაობა, ვიდრე საიერიშო მოღვაწეობის დროს იჩენდა...

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 აპრილი.

**პეტერბურგი.** 30 აპრილს საზღვარ გარეთიდგან დაბრუდნენ დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული.

**რიგა.** 29 აპრილის ღამეს ტულის გზაე სრულიად გადაიწვა სამი სახლი და ორიც დაზიანდა. ზარალი დიდია, ჯერ ნამდვილად არ არის გამორ,კვეული; დამწვარი სახლების მხოლოდ ნაწილი იყო დაზღვეული. 30 აპრილს ღამე კოიენგოლმის გზაზე ცეცხლი მოეკიდა მაიმოხას და დუბროვსკის ტყის სახერხს და ხე-ტყის საწყობს; სამი ცეცხლის საქრობი ორთქლის მანქანა მუშაობს დღეს შუადღემდის. კარგა დიდი ზარალია, მაგრამ ნამდვილად კი არ არის გამოანგარიშებული.

**ასტრახანი.** დღეს გაანელეს ცეცხლი ვოლგაზე ქალაქს ახლო; ეს ცეცხლი გაჩნდა 29 აპრილს, ღამით. დღეს ნამდვილად შეიტყეს, რომ ცეცხლი გაუჩნდა მაკაროვის სატყეო ნავთსადგურს, რადგანაც ძლიერი ქარისაგან გაფანტულ ნაკვერჩხლებით მოედო ცეცხლი დელვიგის, მოროზოვის და ჩესნოკოვის საწყობებს; აპრიალეგული მაზუთი შეუერთდა ვოლგას; პატრონებისგან მიტოვებული საქონლის საზიდი ნავები თავისუფლად მოცურავდნენ ვოლგაზე. დაიწვა მაკაროვის დაუზღვეველი ხე-ტყე ასი ათასი მანეთისა და თექვსმეტი ტყისა და ნავთის საზიდი ნავები ორას ათას მანეთად ღირებული. ფიქრობენ, რომ ცეცხლი განგებ არის წაკიდებული. ხალხი არავინ არ დაზარალებულა.

**გროდნო.** ბრესტში ცეცხლი ჩააქრეს; ხუთას სახლამდის დაიწვა, მათ რიცხვში ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის შენობა და საპყრობილე, აგრეთვე სადგომები თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანცელარიისა და სამხედრო საქმეთა საკრებულოსი. შესდგა კომიტეტი დამწვართა დასახმარებლად.

**შანჰაი.** 21 აპრილს გამოიცა იმპერატორის ბრძანება სასჯელის გადაწყვეტით ყველა იმათთვის, ვინც ერია ჩჟუ-ჩჟოუში მომხდარ ხალხის ხოცვაში. გუბერნატორი ცზიგინა ლიუჩჯუდანი და ტაოტაი გენერალი პაო დათხოვნილ იქმნენ; იუნჩჟინს, პროვინციის ხაზინადარს, გადაწყვეტილი აქვს სამუდამო კატორღა ფოსტის გზებზედ სამუშაოდ და კაპიტანს ამალისას ჩჟოუსეტს თავის მოკვეთა. ამ გვარი სუბუქი სასჯელები სრულიათ არ აკმაყოფილებენ ინგლისის ქვეშევრდომთა სასტიკ ამოჟლეტას, კაცების, ქალების და ბავშვების დახოცვას. შანჰაიში ძალიან აღელვებულნი არიან იმ გარემოებით, რომ ნამდვილ დამნაშავეთ თავიდგან აიცილეს სასჯელი.

**პრეტორია.** თუმცა ეხლახან ბევრი დააკლდა ბურებს, ამის მიუხედავად დღეს კიდევ არის 16,500 კაცი. დასავლეთით აგროვებენ მედგარ ჯარებს; არტილერია და სამხედრო სურსათი ჯერ კიდევ საკმაოდ აქვთ. დევეტი ხელ-ახლად შეესია ტრანსვაალს 2000 კაცით.

**აბბაცია.** კრეისერი „პსარა“ საბერძნეთის მეფით დილას გამოჩნდა ნავთ-სადგურიდგან, მაგრამ, დიდის ლამის გამო, იძულებული იყო შორს ზღვაში გაჩერებულიყო. გუბერნატორი ეახლა მეფეს გემზედ და ავსტრიის იმპერატორის სახელით სალამი განუცხადა. რუმინიის მეფის ადიუტანტი წარუდგა მეფე გეორგს და სალამი მოახსნა მეფე კარლის სახელით.

**სტოკჰოლმი.** პირველ პალატაში მიღებულ იქმნა უმეტესობისაგან სამხედრო კანონ-პროექტი სეიმის კომისიის რედაქციით, რომელმაც იგი გასინჯა; უმცირესობა მიემხრო მთავრობის კანონ-პროექტს შეუცვლელის რედაქციით.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ინგლისში აგიტაცია ბიუჯეტის წინააღმდეგ უფრო და უფრო ძლიერდება. ეტყობა, მთავრობაც შეშინდა, მით უმეტეს, რომ შფოთიანი და გრძელი კამათები მეტად აჭიანურებენ და აძნელებენ პარლამენტის შრომას. ამ ჟამად ყველა სხვა საკითხები თითქო დაივიწყეს. ხაზინის კანცლერმა მაინც გაიმარჯვა ერთხელ, როცა კამათები იყო გამართული სპირტის ბაჟის შესახებ. ეს ბაჟი ახალი არ არის და ამისთანა სამედო შემოსავლის წყაროზე ხელის აღება უაზრობა იქმნებოდა, მით უფრო, რომ ინგლისის ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობა მეტის მეტად გაჭირვებულია. თუმცა ირლანდიელები მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ ამ გარდასახადს, მაინც პალატამ მიიღო ის 342 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 56-სა. კამათების დროს დეპუტატები, მეტადრე ირლანდიელები, ბევრს ოხუნჯობდნენ. ირლანდიელები ამაუად ესარჩლებოდნენ თავიანთ «ვისკის» (არაყს), ამტკიცებდნენ, რომ ის სრულებითაც დამათრობელი სასმელი არ არისო, წამლის ბადლად იხმარებაო და სხვ. გიქს-ბიჩმა დაცინვით უთხრა ირლანდიელებს, რომ მათთვის უფრო სასარგებლოც იქნება ვისკის გაძვირება, რადგანაც ირლანდიაში დამზადებული ვისკი მომეტებულად ინგლისში იგზავნება და ამნაირად ეს გადასახადი უმეტესად ინგლისელებს დააწვებათ ტვირთადაო. ერთმა ინგლისელმა დეპუტატმა ხუმრობით ურჩია ირლანდიელებს: «მოდი, გაჯავრებული, სულაც ხელი აიღეთ ვისკის სმაზე და მარტო ინგლისელებს მიანებეთ ეს სასმელიო.»

✿ «პარი ნუველ»-ს სწერენ თეირანიდან: «ბრძოლა სპარსეთში გავლენის მოსაპოვებლად ინგლისსა და რუსეთს შუა უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება. ჩვენ სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რომ ბანდერ-აბასში დანიშნული ინგლისის ვიცე-კონსული და ერთი ინგლისელი ინჟინერი, ეს-ეს არის, ბარიდაში წასულან იმ აზრით, რომ იქ ციხე-სიმაგრე ააშენონ. ეს ბარიდა—ნავთ-სადგურია კუნძულ ქიშიმას დასავლეთ ნაპირას, სპარსეთის საზღვარს ახლო. იქვე დგას ამ ჟამად გემი «სფინკსი». ცნობილია, რომ ინგლის-სპარსეთის ომის შემდეგ ინგლისელებმა ქვა-ნახშირის საწყობი გამართეს კუნძულ ქიშიმაზე, მაგრამ ცუდი ჰავის გამო ამ კუნძულს ისევ თავი გაანებეს. თუ ამ ბარიდას დაჭერის ცნობა გამართლდა, ამ ამბავს ჩვენ
ისე უნდა შევხედოთ, როგორადაც მანიფესტაციას
გამართულს იმის წინააღმდეგ, რომ რუსეთ
მთავრობამ საკონსულოები დააწესა სპარსეთ
ყურეში და სავაჭრო-გემების მიმოსვლა გამ
თა ოდესსასა და ბუშირს შუა. ამასთან უნდა
შევნიშნოთ, რომ რუსის მთავარი კონსულ
ისპაჰანიდან ორი რუსის მოვაჭრეთი ბუშირ
წავიდა; ბუშირში ამათ უნდა მიიღონ ოდესსი
გამოსული გემი «კორნილოვის» მიერ მოტან
ლი საქონელი; მეორეს მხრით, ინგლისის ვი
კონსულს ბენდერ-აბასში 24 სიპაი (ინდ
თის ჯარის-კაცი) ჰყავს დამცველად, ხოლო ბ
შირში მყოფი ინგლისის პრეზიდენტი კრეის
«ლორენც»-ით სპარსეთის ყურეს დასავლე
წავიდა».

✿ ვაშინგტონში დიდი შთაბეჭდილება მოა
დინა იმ ცნობამ, რომ გერმანიის კრეის
კუნძულ მარგარიტას ახლო, ზღვის სიღრ
ჰზომავს და კუნძულის გეგმას ადგენსო. ეს კ
ძული რესპუბლიკა ვენეცუელას ახლო მდებარ
ობს. ფრანგ. გაზ. «ტან»-ის სიტყვით, გერ
ნელებს უნდათ ამ ადგილას ქვა-ნახშირის ს
ყობი გამართონ, რათა შეეძლოთ აქედან თვ
ყური დაიჭირონ ვენეცუელის ნაპირებზე, კა
იბის ზღვაზე და პანამის არხიდან გასავალ
ამ მიზნით გერმანელ მოვაჭრეებს ჰსურთ კ
ძულ მარგარიტაზე ადგილები შეიძინონ. ამე
კის პოლიტიკურ წრეებში საჭიროდ სთვლი
რომ გერმანელების სურვილის განხორციელ
ხელი შეუშალონ; ყველანი ამბობენ, რომ ს
ხედრო ფლოტის გაძლიერება მაინც უეჭვე
საჭიროაო. გერმანია სამოას კუნძულებზე,
სხვაგან, ყველგან სცდილობს ადგილ
დაიჭიროს და გავლენა მოიპოვოსო.
ლანი იხსენიებენ ამერიკელი ადმირ
დევის სიტყვებს. 1898 წელს ის
ნიასთან ბრძოლის დროს, ამ ადმირალს ფი
პინების კუნძულებთან შეტაკება მოუვიდა გ
მანელ ადმირალთან და მაშინ უთქო დევ
«პირველი ომი, რომელიც ისპანიასთან ბრ
ლის შემდეგ ამერიკას მოუვა,—იქნება
გერმანიასთანაო. ერთი სიტყვით ამერიკის მ
ვრობისა, მხედრობისა და ფლოტის წრ
მეტად არიან აღელვებულნი გერმანიაზე».

✿ რასაკვირველია, გერმანიის მთავრ
უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა ამერიკის
ლიტიკური წრეების და საზოგადოების ამნ
აზრებს. პარიზის «ნიუ-იორკ-ჰერალდ»-ი
წმუნებს, რომ ბერლინში მეტად საწყინოდ
იდეს უკანასკნელი ცნობები ამერიკის საზო

---

ჩემს ცოლს რაღაც ბალახ-ბულახები და ფხვნილი მოუტანა, ყველა ერთად დაჩეჩქვა და რაღაც სასმელი წამალი შეთითხნა... დაალევინა, მაგრამ არ გასჭრა, სრულებით არ გასჭრა... ოცჯერ მეტად ვსცადეთ, მაინც არაფერი გამოვიდა. კუდიანმა ბებერმა მაინც გვანუგეშა: „ფიქრი ნუ გაქვთ, ბავშვი ეხლა მკვდარია, გარწმუნებთ, მკვდარი დაიბადება“. დახელოვნებულ კუდიანის სახელი ჰქონდა მთელს სოფელში დავარდნილი და ამიტომ მეც გული დავიმშვიდე და ჩემს გუნებაში ვთქვი: „მეშველება, მკვდრად დაიბადება-მეთქი“. მაგრამ იმ ქოფაკმა და ქურდმა ყინულზე გამაცურა. აი ეხლავე მოგახსენებთ.

„ერთს მშვენიერს მთვარიან ღამეს მშველი მოვკალ... ნადირი ზურგზე მოვიკიდე და შინა ვბრუნდებოდი მხიარული. მხიარული მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ყოველ ღამე კი არ შეხვდება კაცი მშველს. ასე დილის სამი საათი იქნებოდა, სახლს რომ მოვუახლოვდი. სარკმელში სინათლის შუქი დავინახე... გამიკვირდა; როცა შინ არა ვარ, კარს შიგნიდან ყოველთვის ურდული აქვს ხოლმე გაყრილი... დავაბრახუნე... არავინ გამიღო... მეორეჯელ დავაბრახუნე უფრო მაგრად... ჯერ კვნესა მომესმა, მერე ბუზღუნი, შემდეგ ფრატუნით მოვიდა და კარს ურდული გამოაცალა... ვნახე, მაგრამ რა ვნახე?! ჩემი ცოლი, ნახევრად შიშველი, მთლად სისხლში ამოგანგლ ლი, სამარიდან ამოღებულს დამსგავსებულიყო!.. ჯერ ვიფიქრე, ვიღასაც მოკვლა მოუნდომებია-მეთქი... სანამ მე რასმე ვკითხავდი, თვითონვე მომაძახა: „ნუ აიკელ აქაურობა, მუდრეგო! ვერა ჰხედავ, მოვილოგინე?“... აი, დასწყევლა ღმერთმა! მეც მოველოდი, დღეს არა ხვალ უნდა მოილოგინოს-მეთქი, მაგრამ იმას კი ვერ ვიფიქრებდი, თუ უკვე მოლოგინებული დამხვდებოდა!.. შევედი, მშველი კუთხეში მივაგდე, თოფი ლურსმანზე ჩამოვკიდე და ცოლსა ვკითხე: „თუ მკვდარი მაინცაა“?— „მკვდარი! როგორ არა!.. დახე!“ მომესმა პასუხად. ეს მითხრა და სისხლში მოსვრილ ძონძებში რაღაც შიშველი დამანხვა. საცოდავად იკრუნჩხებოდა... დავაცქერდი ცოლს; ისიც მე დამაცქერდა. ხუთიოდ წუთის განმავლობაში ორივე ხმა ამოუღებლად ვიდექით... მაგრამ რიამე გზას უნდა დავდგომოდით.

— „ხომ არ გიკივლია“?—ვკითხე.

— „არა!“

— „იმ დროს სახლს ახლო ხომ არავის გაუვლია?“

— „არავის“.

— „სამთელი რაღად გენთო?“

— „შენ რომ კარი დააბრახუნე, სულ ორის წუთის ანთებული იყო“.

— „კარგი!“

ბავშვს ფეხებში ხელი დავავლე და ერთბაშად, ბაჭიებს რომ უშვრებიან ისე, მუშტი თავში შემოვკარ ლონივრად... მერე სანადირო ჩანთაში ჩავაგდე, თოფი ჩამ ვიღე და სახლიდან გამოვედი... გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ ნუ, ბატონო თავმჯდომარე, მაგრამ პატიოსნებას გეფიცებით, დღესაც არ ვიცი, ვაჟი იყო, თუ ქალი...

„გრან-პიერის ფონტენისაკენ მივდიოდი.. გარშემო ცისდასავლამდე მარტო საცოდავის სახის ყარამფილას ბუჩქები თუ ლა იყო ქვებ შორის ამოსული. არსად ხე, არსად სახლი, არსად გზა!.. აქ ათასში ერთხელ ცხვარს თუ შეხვდება კაცი, ისიც იმ დროს, როცა ველად ბალახი მოილევა. ამ ადგილას ახლოს ერთი ძველინდელი ქვის სამტვრევია, ღრმა, უხსოვარის დროიდამვე თავმინებებული. ნაპირებზე ამოსულს წკნელს ჰების სიღრმე სრულიად დაუფარავს... აი ჩემს თოფს აქა ვმალავდი ხოლმე, როცა შემატყობინებდნენ, რომ ჩემთან ჟანდარმი უნდა მოსულიყო... ამ უდაბურ ადგილას მისვლას ადვილად ვერავინ გაბედავდა. გარდა ამისა, ხალხში ხმაა გავრცელებული, მოჩვენებანი დადიან აქაო... ბავშვი ჭაში ჩავაგდე და ცოტა ხანს უკან გავიგონე, როგორ დაიტყაპუნა ძირს!.. ბორცვს უკან ირაჟრაჟა კიდეც...

„ბულე-ბლანში რომ დავბრუნდი, ლობის უკან ნაცრის ფერი რაღაც დავინახე, ადამიანისა ან მელის ზურგსა ჰგავდა,—რიჟრაჟზე ყოველთვის ვერ ვარჩევ ხოლმე კარგად. თუმცა თვალები ძალიან გავარჯიშებული მაქვს.—ნელა მიცურავდა, იკუზებოდა, ხან ფოფხვას დაიწყებდა, ხანაც შესდგებოდა: „ეი მეთქი!“ შევსძახე რიხიარის ხმით,—„თუ ადამიანი ხარ, დამენახვე კარგად, თუ არა და ეს არის გესროლე!“— „ბიჭოს, მოტო, შენა ხარ?“

— მომესმა პასუხად და უცნობი ერთბაშად წელში გაიმართა.

— ჰო მე ვარ, მაპო, და ნუ დაგავიწყდება, რომ მეტის მეტ ცნობის მოყვარესათვის ჩემს თოფში თითო ტყვია არ გამომელევა.

— ნუ გეშინიან! ხაფანგს ვასწორებ
მაგრამ მარტო მშველმა იცის ხოლმე ბ
ვილი, როცა ჰკლავენ...

— არა! შენისთანა მხდალიცა ბლავის ხ
ლმე, შე საზიზღარო ბრუტიანო!—ვუთ
რი და თან ჩახმახი შევაყენე, მაგრამ არ
ცი კი რად, ფეხი არ ჩამოვსხლიტე... ახ
ბარე ვნანობ, მაგრამ გვიანღაა. მეორე დღ
მაპო ჟანდარმებთან წასულა და დავუბ
ღებივარ...

„ახლა, ბატონო თავმჯდომარევ, გთხო
კარგად დამიგდოდ ყური... ბულე-ბლან
ოც-და-ათი კომლია, ე. ი. ოც-და-ათი
ლი და ოცდა-ათი კაცი... ისიც უნდა ი
თხოთ, ამ ოცდა-ათს კომლს რამდენი ჰყ
შვილი?.. სამად-სამი... არ იკითხავთ, 
ხვრჩალი, მიწაში ჩაფლული, უდრო
მკვდარი რამდენიღაა? ხომ არ დაგი
ლიით?.. წაბრძანდით ბულე-ბლანში
მოსჩიჩქნეთ მიწა არყის ხის ჩრდილ ქვ
მჯუჯა ფიჭვის ძირას; ჩაიხედეთ ჭების ძ
ში. მისწივ-მოსწიეთ ქვებს, ქვის სატეხ
დაგროვილი ქვიშა ქარზე გაანიავეთ
მიწაში, არყისა და ფიჭვის ძირას, ჭ
ფსკერზე, ქვების და ქვიშის შორის და
ხავთ ჩვილ ყრმათა ძვლებს. მგონი, 
ქალაქების სასაფლოებზედაც ვერ ჰპოვო
დენი ძვლები თვით მოზრდილთა!.. შე
სათითაოდ ყველა სახლში და ჰკითხეთ მ
ვრებთ, ახალგაზდებს და მოხუცთ, რა
ვეს ბავშვებს, მათს ცოლებს რომ და
დათ?,. გამოჰკითხეთ მაპოს, ლეჟერს,
რელს და ყველას, ყველას!.. აბა, ჩემო მა
ხომ ხედავ, მშველის გარდა თურმე სხვ
ბლავის, როცა ჰკლავენ...

თ. ს.

...აზრის ვითარების შესახებათ და ...ამ თავისი ელჩის საშუალებით ვაშინ... მთავრობას განმარტება მოსთხოვათ. ...აზეთის კორესპონდენტი იწერება, რომ ...ის შესახებ მას ლაპარაკი ჰქონია ერთ ...ან პირთან, რომელიც გერმანიის გარე... ...თა სამინისტროში მსახურებსო. ამ ...ან პირს კორესპონდენტისათვის შემდე... ...ვამს:

...მანიას არავითარი მტრული განზრახვა ...ს შეერთებულ შტატების წინააღმდეგ. ...გერმანიის ქვეშევრდომებს ან მათ ვა... ...ინტერესებს ავნებს ვინმე, ჩვენ, რასა... ...ლია, უნდა გამოვესარჩლოთ, მაგრამ ამას ...ერები სჩადიან. ამერიკის ინტერესების ...ვა ჩვენ არასოდეს გულში არა გვდებია. ...ს სამოქალაქო ომის დროს, 1864 წელს, ...ლები ჩრდილოეთ შტატების მხარეს ...1870 წლიდან დაწყებული გერმანიის ...იკა შეუწყვეტლივ ცდილობდა შეერთებულ ...თან მეგობრული დამოკიდებულობა დაე... ...ნა. ხმა იმის შესახებ, ვითომ გერმანიას ...ს ფილიპინების კუნძულებზე ნავთ-სად... ...დაჭერა,—ცოცხალი ტყუილია. ადმირალ ...წინასწარმეტყველობის გამო, ვითომ ...ს მალე ომი მოუხდება გერმანიასთან,— ...მატმა სთქვა, რომ მას ვერც კი მოუფიქ... ...თუ რაზე უნდა მოუვიდეთ შეტაკება ამ ...ელმწიფოსა. ამ ორ ქვეყანას არ მო... ...თ არცერთი უთანხმოება, არა აქვთ არც ...გადასაწყვეტი საკითხი. გერმანიას არავი... ...საბუთი არა აქვს ამერიკელებს გადაეკიდოს; ...თ ჩვენ ვერ მიმხვდარვართ, თუ რა მი... ...არ უნდა ვიყვნეთ ერთმანეთთან მეგო...

...ა კავშირის დარღვევის შესახებ, დიპ... ...მა სთქვა, რომ მისი აზრით, ეს კავში... ...მელიც ასე დიდხანს არსებობდა და რო... ...ამდენი სიკეთე შესძინა ზავის დაცვას, ...ილად ვერ დაირღვევაო».

...პარი ნუველა»-ის კორესპონდენტი შემ... ...ინტერესო ცნობებს იწერება ნიუ-იორკის ...შესახებ, რომლის მოქმედება ამ უკანა... ...დროს მეტის-მეტად გაძლიერდა:

...ბოლოს დროს ნიუ-იორკის ბირჟის მო... ...შესამჩნევად გაძლიერდა. ამ ჟამად ხმა... ...შემოვიდა დიდძალი ბანკის სოფა... ...ები. ეხლა არა იშვიათად შეგხვდებათ ...ილიონის დოლარის ჩეკიც! სათვინანსო ...იებმა, რომლებიც მრავალი სავაჭრო ...ატისა და საზოგადოების დაარსებამ გა... ...ა, მეტად გააცხოველეს ბირჟის მოქმედება; ...რებში არ ჰყოფნიათ გამოცდილი, საქმის ...მოსამსახურეები; ისინი მომეტებულად ...8 საათს მუშაობენ და მაინც ყველა ...შუამავლები თავიანთ ანგარიშებს 3—5 ...აგვიანებენ. ეხლა ბირჟის სპეკულაციამ ...ბევრი ქალი და თვით ჩინელებიც კი ...ა. ბირჟის შუამავლები სულ მთლად ...ცნენ და ამის გამო ხშირად დიდი შეცდო... ...სდით. ასე, მაგალითად, ამ დღეებში, ...შუამავალს 10,000 დოლარი ეზარალნა, ...ც სიჩქარით იმის ნაცვლად, რომ ქა... ...ბი ეყიდნა, როგორც მას ნათქვამი ჰქონ... ...ის ქაღალდებიც გაყიდა, რომლებიც ...ჰქონდა. მეორე შუამავალს 40 წამში ...პასიფის»-ის საზოგადოების 40,000 ...უნდა ეყიდნა».

# ახალი ამბავი

ქუთაისიდან დეპეშით გვატყობინებენ, ...ორშაბათს, 30 აპრილს, ქალაქის საბ... ...38 ხმით წინააღმდეგ 14 ქუთა... ...ქალაქის მოურავად ამოირჩია ნაფიცი ...ი დავით არჩილის ძე ლორთქიფანიძე. ...სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარედ იმ ...შევებში, რომელიც აღნიშნულია სა... ...ო დებულების მე-120 მუხლში, არ... ...იქმნა ბ. დავით ბაქრაძის მაგიერ ბ. ...ფინაშვილი.

...გუშინ წინ, 30 აპრილს, თავად-აზნა... ...საგანგებო კრებას წარედგინა განსა... ...ლად ორი პროექტი თავად-აზნაურთა მამულის მართვა-გამგეობისა: ერთი—შემუშავებული სარევიზიო კომისიისაგან და მეორე—სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ნ. დ. ანდრონიკაშვილისაგან. თავ. ანდრონიკაშვილის პროექტით, მამული უნდა მართოს თავად-აზნაურების წინამძღოლთა კრებულმა, რადგანაც კანონით ისინი ვალდებულნი არიან და პასუხსაც აგებენ თავად-აზნაურთა წინაშე ამ მამულის მართვა-გამგეობის გამო; ამიტომ მისის აზრით, მამულის მართვისათვის უნდა სამის წლით შესდგეს ხარჯთ-აღრიცხვა და ყოველ მესამე წელს ანგარიში ამ კრებულისაგან წარედგინოს თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ საზოგადო კრებას. ანდრონიკაშვილის მიერ დაყენებულმა საკითხმა, რომ კანონით მართვა მამულისა თავად-აზნაურთა წინამძღოლებს აქვთ მარტო დავალებული, კამათი გამოიწვია, რომლის შემდეგ გამოირკვა, რომ თავად-აზნაურთა კრებას სრული ნება აქვს შეიმუშაოს ახალი დებულება თავის მამულის მართვა-გამგეობისათვის და ამიტომ კრებამ უარჰყო თავ. ანდრონიკაშვილის პროექტი და შეუდგა განხილვას სარევიზიო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტისას. ამ პროექტით, კომისია საუმჯობესოდ სცნობს მამულის მართვა-გამგეობა მიენდოს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზედ ამორჩეულ სამის კაცისაგან შემდგარ გამგეობას ორის კანდიდატით, რომელიც წესდებით მამულის მართვა-გამგეობის საქმეში დამოკიდებული იქნება საზოგადო კრებისაგან. გამგეობა ამოირჩევს ერთს მამულის მმართველად წელიწადში 2000 მან. ჯამაგირით, რომელიც დაექვემდებარება გამგეობის განკარგულება-ზედამხედველობას. შეუდგნენ წესდების მუხლების განხილვას. პირველი მუხლი ახალის წესდებისა ამბობს, რომ მამულს მარტო განსაკუთრებული გამგეობა უნდა უვლიდესო. ხმის უმეტესობით დარჩა ისევ ძველი წესდების პირველი მუხლი, რომელითაც მამულს განაგებს კრება ზედამხედველ კომიტეტისა და გამგეობის შემწეობით. მეორე მუხლი შეცვლილ იქმნა ისე, რომ სამის წევრის ნაცვლად, რომელსაც ერთი მმართველი ჯამაგირით უნდა ჰყოლოდა, გამგეობა უნდა შესდგეს 5 კაცისაგან, რომელნიც უნდა ამორჩეულ იქმნენ თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაზე; მცირეოდენის ცვლილებით მიღებულ იქმნა დანარჩენი მუხლები წესდების მეშვიდე მუხლამდე, რომელშიაც ნათქვამია, რომ გამგეობამ მამული უნდა მართოს უსასყიდლოდ. ამ საგანზე კამათმა ნაშუაღამევის პირველ საათის ნახევრამდე გასტანა და რადგანაც თავჯდომარემ საკითხი საკმაოდ გამორკვეულად ვერ იცნო, კრება გადასდო პირველ მაისის საღამოს 7 საათისათვის, როდესაც ისევ ამ საკითხის განხილვას განაგრძობენ.

✦ ჩვენ გვატყობინებენ: განსვენებულ კ. ზუბალაშვილის მემკვიდრეებს, თანახმად ანდერძისა, კიდევ შეუწირავთ—კათოლიკების ფერისცვალების ეკკლესიასთან არსებულ „როზალიას“ ძმობის სკოლისათვის — 2000 მანეთი. გორის ანასტასიას სახელობაზედ არსებულ სასწავლებლისათვის და გორისავე საქალაქო სკოლისათვის ათას ათასი მანეთი იმ პირობით, რომ შეწირულ ფულის სარგებლით იზრდებოდნენ ხსენებულ სასწავლებლებში ღარიბი მოსწავლენი. გარდა ამისა 5000 მ. შეუწირავთ კათოლიკების სასაფლაოს (სოლოლაკი) კედლის გასაკეთებლად, სამ-სამი ათასი მანეთი კათოლიკების ეკკლესიებისათვის-ტფილისში (პეტრე-პავლისას), გორში და ქუთაისში და ხუთას-ხუთასი მანეთი „შრომის მოყვარეობის“ სახლისათვის, ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოებისათვის, მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიისთვის, ბრმების სკოლისათვის და ციმბირში გაგზავნილთა შვილების თავშესაფარისათვის.

✦ რედაქციამ მიიღო ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალურ კანტორის ქართველ მოხელეთაგან მათ შორის შეკრებილი 14 მან. და 50 კაპ, კიეველ სტუდენტების სასარგებლოდ.

✦ უწმ. სინოდის ოფიციალურ გაზეთ «Церковныя Вѣдомости»-ს მე-9 №-ში ვკითხულობთ: „უწმ. სინოდთან არსებულის სასწავლებელთა საბჭოს დადგენილებით (6 თებერვალს, 1901 წ., № 112), რომელიც დამტკიცებულია სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, გადაწყდა: იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნები: 1) «Русское слово, или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ», ნაწილი I (მეხუთე გამოცემა, ფასი 50 კ.) და 2) «Руководство для учителей и учительницъ къ преподаванію по книгѣ «Русское Слово» (მეორე გამოცემა, ფასი ყდით 60 კაპ.)—მოწონებულ იქმნან სახმარებლად, როგორც სახელმძღვანელოები რუსულის ენისა ქართულ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში.“

დღემდის «Русское Слово» იხმარებოდა ადგილობრივ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებში, როგორც დროებითი სახელმძღვანელო, თანხმად ადგილობრივ სასულიერო მთავრობის მოწონებისა, ამიერიდან კი ეს წიგნი უნდა შეიქმნეს მუდმივ სახელმძღვანელოდ უწმ. სინოდის დადგენილების თანხმად.

✦ ჩვენ გვწერენ, რომ თელავში 9 მაისს გამართულ იქნება წარმოდგენა და სალიტერატურო საღამო, 6 მაისს კი — იქნება საყმაწვილო სალიტერატურო დილა თავ. რაფიელ ერისთავის სახსოვრად.

✦ ორშაბათს, 30 აპრილს, „პეპო“-ს 30 წლის იუბილეი იდღესასწაულა სომხურმა დასმა არტისტიულ საზოგადოების თეატრში, ავტორის დასწრებით. წარმოდგენილ იქმნა ხსენებული კომედია. თამაშობდნენ საუკეთესო არტისტები და ამიტომ წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. შემდეგ დადგმულ იქმნა ცოცხალი სურათები გაბრ. სუნდუკიანცის კომედიიდან. დასასრულ, პატივცემულს გაბრიელ ნიკიტისძეს მიულოცეს: სომხურმა დასმა, არტისტიულმა საზოგადოებამ, არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარეებმა და სხვებმა და ამასთანავე წაკითხულ იქმნა მილოცვის დეპეშები რუსეთის და კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებიდან.

✦ კვირას, 6 მაისს, ავჭალის ქუჩაზე სახალხო თეატრში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება ჩვენის დრამატურგის ა. ცაგარლის ოთხ მოქმედებიანი კომედია „ციმბირელი“. წარმოდგენას საღამოს $7^1/_2$ საათზედ დაიწყობენ.

✦ ხუთშაბათს, 3 მაისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში, სადამოს 8 საათზე, დანიშნულია სხდომა ქალაქის სასწავლებლების გამგე-კომისიისა ზოგიერთი საქმეების განსახილველად. კომისია სხვათა შორის განიხილავს შემდეგს საქმეებს: დადგენილებას ქალაქის გამგეობისას ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გადაკეთების და ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელთათვის დამატებით ჯამაგირების შესახებ; სიას ქალაქის დედათა სახელოსნო სკოლის მოწაფეთა იმ ხელ საქმისას, რომელნიც უნდა გაიგზავნონ კავკასიის სამეურნეო გამოფენაზე.

✦ ტფილისის ქალაქის სახელოსნო სკოლის პედაგოგიურ რჩევის დადგენილებით ხსენებულ სკოლაში შეწყვეტილია სწავლა პირველ მაისიდან შვიდამდე.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქმა აღძრა შუამდგომლობა საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ნება მიეცეს მოსწავლეთა მშობლებს დაესწრონ კითხვებს, რომელთაც ჰმართავენ ხოლმე სკოლებში ჩვეულებრივ გაკვეთილებს გარეშე. სამინისტრომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა.

✦ გუშინ, 1 მაისს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო გამოსაცდელი ეგზამენები, რომელიც დასრულდება მაისის დამლევამდე.

✦ ტფილისის დედათა ეპარქიალურ სასწავლებელში გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 7 მაისიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ ხვალ, 3 მაისს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამგე-კომიტეტი სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება ზოგიერთ მიმდინარე საქმეების განსახილველად. კომიტეტი სხვათა შორის განიხილავს მოხსენებას გამოფენაზე ბეჭვდითი სიტყვისათვის საკუთარ პავილიონის აგების შესახებ.

✦ ორშაბათს, შუაღამის 2 სათზე, მოულოდნელად გარდაიცვალა ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის უფროსი სტ. სოვ. სემიონოვი. განსვენებული ორშაბათ საღამომდე კარგად ყოფილა, საღამოს გამოსულა სავაჭროდ და დაბრუნებისას ცუდად უგრძვნია თავი და სახლში ეტლით მისულა: ცოტა ხანში ისე ცუდათ შექნილა, რომ მიუწვევიათ ექიმები. ავათმყოფს მალე გრძნობაც დაუკარგავს და შუაღამის 2 საათზე გარდაცვლილა. სიკვდილის მიზეზი სისხლის თავში ავარდნა ყოფილა. სემიონოვი წინეთ ქუთაისში მსახურებდა.

✦ ეს მეორე დღეა კავკავის სამხედრო გზაზე წვიმებისაგან გაფუჭებულ გზის მიზეზით ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

✦ 29 აპრილს პოსად „კროშკა“ ზედ (ვოკზალსა და მიხეილის ქუჩის შუა) ბოროტგანმზრახველებმა ვითომ მოინდომეს კანდუქტორების ბრიგადის უფროსის მოკვლა, რისთვისაც მათ ესროლეს რევოლვერი დარაბებით დახურულ ფანჯარას იმ ოთახისას, სადაც ხსენებული უფროსი უნდა ყოფილიყო. რევოლვერის გასროლის შემდეგ ქუჩაზედ ვერავინ იპოვნეს. ეჭვი აქვთ რკინის სამ მოსამსახურეზედ. ვის გაუგონია, რომ დარაბებით დახურულ ფანჯარასთან ესროდნენ რევოლვერს კაცის მოსაკლავად!

✦ წვიმების მიზეზით ადიდებული მტკვარი ძალიან შორს გამოსულა რიყეზე: წყალს დაუფარავს ნაპირის ახლო მდებარე ქუჩები, „ბზის“ მოედანისა და დესიმონთვის მოედანის ნაწილი. მიღებულია ზომები მცხოვრებთა საშველად იმ შემთხვევისათვის, თუ წყალდიდობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

✦ ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა 9 გერმანელი ტურისტი. ტურისტების მიზანია, გაეცნონ კავკასიას, განსაკუთრებით ბაქოს ნავთის წყაროებს.

✦ აღმოსავლეთის შესწავლის საზოგადოებას განზრახვა აქვს გამოსცეს ჟურნალი რუსულსა და სპარსულს ენაზე.

✦ 5 მაისიდან დოლის (მარულის) მოედანზე გაიმართება ცხენების ბაზრობა, რომელიც გასტანს 18 მაისამდე. ადმინისტრაციამ და ქალაქის თვით-მმართველობამ სთხოვა ბაზრის ადმინისტრაციას, შეაგონოს ხალხს ბაზრობაში მონაწილეობის მიღება.

✦ ტფილისში ისევ ხორცის სიძვირეა. ყასბები არა ჰყიდიან ხორცს ნიხრის მიხედვით. ხორციც უმეტეს წილად კამეჩისაა. განაპირა ადგილებში ესეც არ იშოვება. ამიტომ ქალაქის ბეითალმა ვარშამოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას მოიწვიოს ბეითლები ხორცის კრიზისის მიზეზების გამოსაკვლევად და ამ კრიზისის თავიდან ასაცდენ ზომების გამოსანახავად. ყასბების სიტყვით, საქონლის მორეკის შემცირება ტფილისის ბაზრებში უმთავრესად აიხსნება იმ გარემოებით, რომ სავალდებულოა საკლავ საქონლის რკინის გზით მოყვანა.

✦ გუშინ, 1 მაისს, საღამოს 7 საათსა და 40 წამზე, ტფილისის რკინის გზის სადგურზე ვილაც ბოროტგანმზრახველნი თავს დაეცნენ „არტელშჩიკს“ როსინს და დარაჯს ნიკონოვს, რომელთაც საქონლის სადგურის კასსიდან ვოკზალზე მოჰქონდათ საქონლის სადგურზე ერთ დღეს შემოსული ფული—ჯამით 11,758 მან. ბოროტგანმზრახველთ დაჰკრეს დარაჯს თავში კეტი

და დაარეტიანეს, შემდეგ გაისროლეს რევოლვერი ორჯელ, გამოჰგლიჯეს დარაჯს ხელიდან ტყავის ქისა, რომელშიც 916 მ. ვერცხლის ფული იყო, და გაიქცნენ.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა ბ. რობიმ სთხოვა ქალაქის გამგეობას დანიშნოს კომისია ვარდისუბანში ახლად გამართულ ლიანდაგის დასათვალიერებლად.

✦ გუშინ წინ, 30 აპრილს, საღამოს 6 საათზე, პოლიციის მე-3 ნაწილში, ძველ სახაზინო თეატრის შენობის ახლო, ცოტას გასწყდა უბედურება არ მოხდა; ორს ბიჭს ცხენები წყლის დასალევინებლად ჩაეყვანათ; მოდიდებულმა წყალმა ჩაითრია ფურგუნი ცხენებით, მაგრამ მალე მიეშველა ნაპირიდან ხალხი და გადაარჩინა დახრჩობას როგორც მეპატრონენი, აგრეთვე ცხენებიც.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის ანგარიშიდან სჩანს, რომ თვით-მმართველობის ყველა დაწესებულებათ დაუწვავთ გასულ ზამთარში 303 კუბ. საჟ. შეშა.

✦ 29 აპრილს არშაკუნის მოსახვევში, გელაძის სახლში, ტფილისის მოქალაქე კ. დუნაკი გაუფრთხილებლობის გამო ხანჯლით დაიჭრა ფეხში. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

# პროვინცია

**თელავი.** 27 აპრილს თელავის მაზრის თავად-აზნაურთ კერძოდ მოლაპარაკება ჰქონდათ სათავად-აზნაურო საქმეების შესახებ. წინამძღოლმა თავ. დ. ქ. ჩოლოყაშვილმა გააცნო დამსწრეთ გუბერნიის თავად-აზნაურთა საქმეების აწინდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი ბოლო. სხვათა შორის ლაპარაკი იყო სათავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებელთა თავნი ფულის შესახებ. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ გამოირკვა შემდეგი: ის თავნი დღესაც უსარგებლოდ არის, თუმცა წელიწადების გასული მას შემდეგ, რაც თელავის მაზრის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა — ის თავნი ფული ბანკის გამგეობამ შეიტანოს სასარგებლოდ რომელიმე საკრედიტო დაწესებულებაში, ვიდრე თავად-აზნაურთა კრება გადასწყვეტს მის დანიშნულებაზე რასმე; დღესაც იმ თავნი ფულის მიღება თვითეულისათვის კერძოდ იმდენ ფორმალურ პირობების შესრულებას თხოულობს, რომ ზოგს გამოტანაზე მეტი დაეხარჯება, ვიდრე გამოსატანი ერგება; ამისთანები შეადგენენ დამფუძნებელთა უმრავლესობას; თელავის მაზრიდან დამფუძნებელთ ეკუთვნის ოცი ათასი მან., სიღნაღისას — 30 ათასი; ამ ფულით საერთოდ სიღნაღს და თელავს, ან თვითეულს ცალკე შეეძლოთ საზოგადო რაიმე საქმის გაკეთება; კახეთი განსხვავებულ პირობებშია, ვიდრე სხვა რომელიმე კუთხე საქართველოსი: იგი მოწყვეტილია ტფილისიდან, ბაზრიდან, მასში მარტო მცირე მემამულენი სცხოვრობენ, რის გამოც მეურნეობა ნოეს დროინდელ მდგომარეობაშია, არა გვაქვს ტეხნიკური ცოდნა, არცა გვაქვს საამისო სასწავლებლები, ყველა ეს გვაძლევს ნებას ვსთხოვოთ საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებას — დაავალოს გუბერნიის მარშალს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს იშუამდგომლოს მინისტრის წინაშე, რომ დამფუძნებელთა კუთვნილი თავნი სავსებით გადასცეს სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ გუბერნიის და მაზრის წინამძღოლთ, რომელნიც ამ ფულს შეიტანენ საკრედიტო დაწესებულებაში, ვიდრე რომელიმე საზოგადო საქმეზე მოვიხმარდეთ.

დამფუძნებელთ ერთხმად მოიწონეს ეს აზრი, თხოვნაზე ხელი მოაწერეს და გადასცეს მაზრის წინამძღოლს საგუბერნიო კრებაზე წარსადგენად.

აქვე თავად-აზნაურთ დაურიგდათ ბლანკები, რომლებითაც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურთ, აცნობონ მას შემდეგი კითხვების პასუხი: სად არის მამული, როგორ იწოდება და რავდენი ნაჭრისაგან შესდგება? რა არის გამიჯნული და რავდენია გაუმიჯნავი? რავდენი მონაწილეა საერთო მამულში? რაოდენობა ადგილებისა: სამოსახლოსი, სახნავისა, ბაღისა, ვენახისა, საძოვრისა, ტყისა. რაოდენობა სანადელო, ხიზნების და უვარგისი მიწებისა. რომელ ბანკში და რავდენად არის დაგირავებული მამული? ყოველ-წლიური ბანკში შესატანი სარგებლის რაოდენობა. რამდენად არის დაგირავებული მამული კერძო პირების ხელში? რავდენი სარგებელი უნდა აძლიონ კერძო პირებს, რომლებსაც მამული უჭირავთ გირაოდ? მამულის წლიური შემოსავლის რაოდენობა. მამულის შემუშავების და ყურის-გდებისათვის ხარჯის რაოდენობა. მამულის წმინდა შემოსავლის რაოდენობა. რა და რა წლიური გადასახადია დაწესებული მამულზედ? როდის მიიღო მემამულემ განცხადება ახალი გადასახადის შესახებ.

რადგანაც ნამდვილ მდგომარეობაზედ ჯეროვანი ცნობები არ არის შეკრებილი აქნობამდის და რადგანაც გუბერნიის თავად აზნაურთა ეკონომიური ნამდვილი მდგომარეობის დამსურათებელი უტყუარი ცნობები ყოველთვის საჭირო სახელ-მძღვანელოდ ამა თუ იმ საქმეში, გუბერნიის წინამძღოლი მაზრის წინამძღოლის პირით სთხოვს თავად-აზნაურობას უტყუარი ცნობები შეიტანონ აღნიშნული კითხვების საპასუხოდ. ამ ცნობებს კერძოდ ჰკრებავს გუბერნიის წინამძღოლი, მაგრამ შეკრებილ ცნობებს საზოგადო მნიშვნელობა ექნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავად-აზნაურობა ჯეროვან უტყუარ ცნობებს მიაწვდის თავის წინამძღოლს და მით მისცემს მას უტყუარ და ძლიერს საბუთს სათავად-აზნაურო საქმეების რიგიანად წარმართვისათვის.

ნადიკვრელი.

## წერილი ქართველ საზოგადოებისადმი

ჩემს დაბრუნების უმალვე საზღვარ-გარეთიდან, მრავალმა ქართველმა ახალგაზდამ მომმართა თხოვნით მესწავლებინა მათთვის ხატვა. თუმცა პირდაპირ მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გავუზიარო მათ ჩემი ცოდნა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, დროისა და ალაგის უქონლობის გამო, იძულებული ვარ ყველას უარი ვუთხრა. ეს გარემოება მაიძულებს ორიოდე სიტყვით მივმართო ჩვენ საზოგადოებას.

ხელოვნება საზოგადოდ ყოველ დროს და ყველგან, ან ლიტერატურასთან ერთად აღორძინებულა, ან მალე მიჰყოლია მას კვალში. წარმოუდგენელია განათლებული ქვეყანა, რომელშიაც ერთი უმეოროდ არსებობდეს. საქართველოში კი ამ მხრივ სრულებით სხვას ვხედავთ: ახალი ქართული ლიტერატურა უკვე დიდი ხანია, რაც ჩადგა თავის კალაპოტში და მას აქეთ თავის ორგინალურ ხასიათს ატარებს, მაშინ როცა ახალი ქართული ხელოვნება (მხატვრობა, ქანდაკობა, არხიტექტურა) ჯერედ სრულებით არ არსებობს.

მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ჩვენი ერის უნიჭობა არ არის. ბევრია ჩვენში ამ ნიჭით დაჯილდოვებული, მაგრამ უხელმძღვანელობით და თვის ხელმოკლეობით ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას.

ამიტომ საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ, რომელსაც უნდა აინტერესებდეს ქართულ ლიტერატურასთან ერთად ქართული ხელოვნებაც, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და გამოსძებნონ საშუალება ხელოვნების აღორძინებლად.

მხატვარი მრევლიშვილი.

# საღამოს დეპეშები

1 მაისი.

**პეტერბურგი.** სათავად-აზნაურო ბანკის მე-23 ტირაჟში უმთავრესი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი მან. — 3883/27; 75 ათასი მან. — 4972/32; 40 ათასი მან. — 8087/31; 25 ათასი მან. — 4370/31; ათას-ათასი თუმანი — 9200/8, 4809/43, 14635/33; თითოეულს 8 ათასი მან. — 3632/45, 1983/38, 13255/34, 7022/23, 10438/15; ხუთ-ხუთი ათასი მ. — 13777/28, 14581/25, 8612/45, 1669/36, 11668/34, 11282/4, 13087/27, 11405/37; ათას-ათასი მან. — 678/13, 15244/37, 9842/44, 375/40, 13063/4, 3102/4, 8465/47, 4756/11, 13927/33, 1924/35, 4424/9, 15016/37, 13042/33, 2960/4, 4982/27, 13177/39, 4645/45, 8422/1, 4403/22, 11894/24.

**პეტერბურგი.** 10 მაისს მის უდიდებულესობის დასწრებით მოხდა პეტერგოფში სადღესასწაულო პარადი ლეიბ-გვარდიის ცხენოსან პოლკებისა და ულანთა პოლკისა.

30 აპრილს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ინჟენერი ბ. გ. ლუცკი და გააცნო მის უდიდებულესობას მისმიერ მოგონილი იარაღი, საზღვაო უწყებაში სახმარები.

**ბუხარესტი.** კონსტანტინეპოლიდან მოსულთათვის კარანტინი მოისპო; ნაცვლად ამისა შემოღებულ იქმნა ექიმთა კონტროლი.

**სოფია.** ხმა არის, რომ ხარჯების შემცირებისათვის გაუქმებულ იქნება ზოგიერთი თანამდებობა; მათ შორის — ვენაში და პარიზში არსებულ სადიპლომატიო სააგენტოების მდივნების თანამდებობა.

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება პრეტორიიდან: „სხვა-და-სხვა რაზმებისაგან მოსულ ცნობებით, უკანასკნელ დეპეშის შემდეგ მოკლულ იქმნა 8 ბური, დაჭრილ იქმნა — 20, დატყვევებულ იქმნა — 132, თვის ნებით დამორჩილდა ინგლისელთ 24 კაცი; ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს ერთი ზარბაზანი, 6400 პატრონა, 150 ურემი და 870 ცხენი.“

**ლონდონი.** დესსიდენტებისა და უნიონისტების ნადიმზე სალისბიურიმ წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა ის გაჭირვება, რომელიც შარშან შეხვდა ინგლისს. სალისბიურიმ მოიხსენია შემდეგ ინგლისელთა მიერ დაღვრილი სისხლი და ქება შეასხა ჯარის კაცთა მამაცობას და გენერლების ნიჭს. „წარსულის გათვალისწინება გვიჩვენებსო, განაგრძო მინისტრმა, რომ იმპერიას უსამართლობა არ ჩაუდენიაო; სამხრეთ-აფრიკის ომი კი გვიმტკიცებს ინგლისის ძლიერებასაო. მშვიდობიანობის საქმე ეხლა უზრუნველ-ყოფილია; ჩვენ მიერ მოტანილს მსხვერპლს ის შედეგი მოჰყვა, რომ ეხლა ყოველმა სახელმწიფომ იცის, რას ნიშნავს ინგლისის გამოწვევა; ყოველმა სახელმწიფომ იცის, რომ ინგლისში ის ნახავს უსაშინელეს მტერს. ომმა ის სარგებლობა მოუტანა ინგლისს, რომ იგი იძულებული შეიქმნა გაეძლიერებინა თავისი მხედრობა, რომელიც, შეიძლება, რიგიანად ვერ იყო მოწყობილი“. ომის დაწყების მიზეზად სალისბიურიმ აღიარა ბურების შეთქმულება, რომელიც ვითომ კარგა ხნით ჰსურვებდათ და რისთვისაც ბურები სიჩქარით იარაღს იძენდნენო. დასასრულ სალისბიურიმ მიულოცა მსმენელთ, რომ თავის დროზე შეწყნარებული არ იქმნა ირლანდიის შესახები გლადსტონის პროექტი; ის რომ შეწყნარებულ ყოფილიყოო, [ს]ხვა სალის... ეხლა ინგლისს საქმე ექნებოდა არა ... ბურებთან, არამედ მეორე ... ბასთანაცაო.

**პარიზი.** ვალდეკ-რუსო ... სრულიად კარგად არის.

ხმა არის, ვითომ სამხედრო მი... ანდრეს უპირებდენ ალჟირის გენე... ბერნატორად დანიშვნას.

სამხედრო საზოგადოების ნადიმ... ზღვაო მინისტრმა წარმოსთქვა ... რომელშიაც განაცხადა, რომ ფლო... არმიის გასაძლიერებლად სხვა სა... ფოებმა იმისი ნახევარიც არ გაუკე... რაც გააკეთა საფრანგეთის რესპუ... უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში... არა ჰსურს მეორე იმპერიის სამხე... საზღვაო ძლების აბუჩად აგდება, ... უადგილო არ იქმნება გაიხსენოს ის ... პლი, რომელიც რესპუბლიკამ შეს... ფრანგეთის საზღვაო და სამხედრო ... გაძლიერების საქმეს. ლანესანმა ... ხელა მსხვერპლი და განაგრძო: ... ეხლა გაუმჯობესებული თოფები და ... ზნები გვაქვს. ჩვენ შემოვზღუდე... საზღვრები განვითარებულის ტეხნი... შვალებით, ჯარი მზად არის ხანგრ... ომისათვის და როდესაც 1906 წელ... საზღვაო ძალა გაძლიერებულ იქმნე... გრამის თანახმად, მაშინ ჩვენ დამშ... შევხვდებით ყოველ მოულოდნელ ... ნას“.

დასასრულ მინისტრმა სთქვა, რომ მ... ბა და ფლოტი ერდგულნი იქნებია... პუბლიკისაო, რადგანაც რესპუბლიკამ ... გააკეთა მათთვისო.

**აბაცია.** რუმინიის მეფემ ინახუ... ბერძნეთის მეფე გემზე „პსარა“.

**დურბანი.** ქვ. ბოტა მოვიდა ა... „უნრაგან კასტლ“; ის აქედან ევ... მიდის. კიტჩენერმა თანხმობა გამო... რომ ქვ. ბოტამ ინახულოს კრიუგე... დაიყოლიოს იგი მშვიდობიანობაზ...

რედაქტორი ალ. ჭყონია.

გამომც... ალ. ჯაბ...


## ტფილისის ქალაქის გამგეო...

ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილის... ნახმად კავკასიის მთავარ მართებლ... დამტკიცებულ დებულობისა, ცხენ... რობის შესახებ ხუთ ამა მაისი... დგან გაიმართება **ცხენის ბაზრობა** ... მელიც გაგრძელდება 19 მაისამდე ... შნულ ცხენის ბაზრობისათვის ... დანიშნულია დიდუბეში კავკასიის მოშენების წამქეზებელ საზოგადოებ... დანზედ. (3—6

Открыта подписка на еженедѣльный иллюстрированный политическій, литерату...
общественный журналъ

## „АРГОНАВТЪ“

### СЪ ЕЖЕДНЕВНЫМИ ПРИБАВЛЕНІЯМИ,

ИЗДАВАЕМЫЙ ВЪ Г. ТИФЛИСѢ

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ нумерѣ газеты, который выйдетъ 20-го...

*Завѣдывающіе отдѣлами:* Вейденбаумъ Е. Г. — кавказовѣдѣніе и библіографія. Иност... иностранная политика. Іоаннисіани А. А. — экономическій и торговопромышленный. А—нъ — вну... обозрѣніе. Потто В. А. — военная исторія. Инженеръ Раголеръ Ю. Я. — научно-техническій. Тхор... А. А. — литература и искусство. Хачатуровъ И. Г. — провинціальная жизнь, хроника и судебны... Горн.-инж. Ченгеры М. И. — горно-промышленный. Бюхнеръ — художественный.

Фельетоны П. А. Опочинина.

Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. П., Борманъ К. Г., Гедеоновъ А. Г., Іоаннисіа... Иваненко В. Н., Кипшидзе А. Ф., Кипшидзе П. Ф., Кузьминъ А. И., Лейстъ Артуръ, Опочин... Пахомовъ В. Н., проф. Рорбахъ, Тамамшевъ М. И., Францева В. А., кн. Черкесовъ В. Н., Чимишкі...

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одессѣ, Баку, Батумѣ, Кутаисѣ, Пят... Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персіи и Турціи. Письма вз... на — проф. Рорбаха и изъ Парижа — Р. А. Іоаннисіани.

ЖУРНАЛЪ будетъ выходить каждое воскресенье въ размѣрѣ 16 стр. in 4, съ портретами, рисунками и иллюстраціями по текущимъ событіямъ.

ЕЖЕДНЕВНИКЪ будетъ выходить, не исключая понедѣльниковъ и послѣпраздничныхъ ... форматѣ средняго газетнаго листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногородныхъ 5 руб., на ... руб. и два мѣс. — 2 руб.

Плата за объявленія въ еженедѣльникѣ за строку петита: на 1-й стр. 20 коп., на остал... коп., въ ежедневникѣ: на 1-й стр. 10 к. и на остальныхъ 5 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ — въ редакціи и конторѣ (Головинскій, № 14), въ „Цент... книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля и въ газетномъ его агентствѣ (уго... тинской и Головинскаго проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля.

Редакція и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе Газетное агентство Л. Б. Хиддекеля (уголъ Барятинской и Головинскаго пр.).

Съ 1 іюня будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, туземныхъ и иностранныхъ журналовъ при редакціи „Аргонавта“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названій газетъ, жур... научныхъ изданій, романы, повѣсти и разсказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ безплатнаго входа подписчикамъ „Ар... Неподписчики покупаютъ при входѣ номера ежедневнаго прибавленія.

Редакторъ-издатель *И. Ф. Тхоржевск...*

Администраторъ *И. Г. Хачатуровъ.* 3—


Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Мая 1901 г. სტამბა ქართ. ამხ—ბის, ვაზქის დიდი ქუჩა, № 27